სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1.ზოგადი დებულებანი

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში-უნივერსიტეტი) აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭო ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს განკარგულების ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად, შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ძირითად მიმართულებებს და სტრატეგიულ გეგმას, ხელს უწყობს უნივერსიტეტის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან თანამშრომლობას, უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების ინტეგრაციას, თანამედროვე სასწავლო გეგმებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების შექმნას. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – უნივერსიტეტის რექტორი ,, უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებების ფარგლებში მოქმედებს დამოუკიდებლად, გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს, რომელთა მეშვეობით რეგულირდება როგორც სასწავლო სტრუქტურული ერთეულების, ისე მათთან დაკავშირებული სხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა.
2. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.
3. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითად საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლიობას.
4. **(ამოღებულია-29.11.2017, №04-01/11)**
5. აკადემიური საბჭო ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მართვას ახორციელებს შემდეგი პრინციპების დაცვით:

ა)აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აზრის გათვალისწინება გადაწყვეტილებების მიღების პროცესში;

ბ)საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთიანი პოლიტიკის გატარება უმაღლესი განათლების სფეროში; **(27.12.2017, №04-01/15)**

გ)მიღებული გადაწყვეტილებების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;

დ) აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება და მობილობის წახალისება;

ე) უმაღლესი განათლების სფეროში ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორი მოპყრობა ყველას მიმართ;

ვ) არჩევნების სამართლიანობა, გამჭვირვალობა და კონკურსის საჯაროობა.

6. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.
7. აკადემიური საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
8. აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესს, პროცედურას და სავალდებულოა ყველა წევრისათვის.
9. უნივერსიტეტის და აკადემიური საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხს, რომელიც მოწესრიგებული არ არის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტით, აკადემიური საბჭო წყვეტს დადგენილებით.

10. აკადემიურ საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით: ,,სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“.
11. აკადემიური საბჭოს ადგილსამყოფელია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (მისამართი: ბათუმი, ლ.ასათიანის ქ. N37).

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

. აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად:

ა)განსაზღვრავს უნივერსიტეტის სასწავლო-შემოქმედებით და სამეცნიერო პოლიტიკას, მართვის ძირითად მიმართულებებს და იღებს შესაბამის ინდივიდუალურ - სამართლებრივ აქტებს;

ბ)ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ)ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს- რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ)მონაწილეობს წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის, ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით და საშემსრულებლო მიმართულებით აბიტურიენტთა მიღების წესს;

კ) ადგენს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების აღიარების წესს;(29.11.2017, №04-01/11)

ლ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

მ)ადგენს აკადემიური პერსონალის, სასწავლო და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების სამსახურში მიღების და თანამდებობებზე დანიშვნის ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ნ) წლიურ ანგარიშს წარუდენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) შეიმუშავებს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების წესს;

პ)ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ჟ) ირჩევს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

რ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ს) განიხილავს ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

ტ) ისმენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშს;

უ) ისმენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ანგარიშს;

ფ)პერიოდულად ისმენს ადმინისტრაციული თანამდებობების პირების ანგარიშს უნივერსიტეტის სასწავლო, სამეცნიერო, ფინანსური და ეკონომიკური პროგრამების შესრულების შესახებ;

ქ) ახორციელებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უნივერსიტეტის წესდებით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.
2. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორი წარმომადგენელი.
3. აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით.
4. **(ამოღებულია 29.11.2017, №04-01/11)**
5. აკადემიური საბჭოს წევრს უფლება აქვს დასვას საკითხი განსახილველად, შეიტანოს შენიშვნები და გამოხატოს წინადადებები განსახილველ საკითხებზე, გამოვიდეს სიტყვით, გამოთქვას აზრი იმ პირთა შესახებ, რომლებიც სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელ თანამდებობებზე დასანიშნად არიან წარდგენილები.
6. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

   ა) პირადი სურვილი;

   ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

   გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; **(29.11.2017, №04-01/11)**

   დ) უნივერსიტეტთან აკადემიური ურთიერთობის შეწყვეტა;

   ე) საბჭოს სხდომებზე რეგულარულად გამოუცხადებლობა;

   ვ) გარდაცვალება;

   ზ) კანონით დადგენილი სხვა შემთხვევები.
7. აკადემიური საბჭო რეგლამენტით გათვალისწინებული და სხვა საკითხების წინასწარი მომზადებისა და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით, საბჭოს წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის კომისიებს გარკვეული ვადით. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს ტექნიკური მდივანი;
2. აკადემიური საბჭოს ტექნიკური მდივანი უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს წევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.
3. აკადემიური საბჭოს ტექნიკურ მდივანს ნიშნავს რექტორი.

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიური საბჭოს სხდომები

1.1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

1.2. რექტორის არყოფნის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს ერთ-ერთი წევრი რექტორის დავალებით.

1.3. აკადემიური საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. თავმჯდომარეს შეუძლია საკუთარი ინიციატივით ან წევრთა 1/3-ის მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

1.4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

1.5. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

1.6. სხდომა გრძელდება არაუმეტეს ორი საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის თანხმობით.

1.7 აკადემიური საბჭო უფლებამოსილია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოიწვიოს უნივერსიტეტის პარტნიორები, დამსაქმებლები და საზოგადოების წარმომადგენლები.**(29.11.2017, №04-01/11)**

2. დღის წესრიგი

2.1. აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის დღის წესრიგს, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2.2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებამდე

არაუგვიანეს ერთი დღისა.

2.3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

3. გადაწყვეტილების მიღება

3.1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია;

3.2. ყოველი საკითხის განხილვის წინ გამომსვლელთა დრო განისაზღვრება რეგლამენტით. გამომსვლელთა რაოდენობის შეზღუდვა შეიძლება საბჭოს გადაწყვეტილებით.

3.3. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. თუ გადაწყვეტილებაში სხვა ვადა არ არის მითითებული, იგი ძალაში შედის მიღების მეორე დღიდან და მისი შესრულება სავალდებულოა უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისა და სტუდენტისათვის. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები ვრცელდება აკადემიური საბჭოს სამდივნოს მიერ.

4. ხმის მიცემა

4.1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია (ხელის აწევა და სიის ამოკითხვა).

4.2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

4.3. კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომათა დარბაზის დატოვება.

4.4. ბიულეტენების მეშვეობით ფარული კენჭისყრის გამართვისას დგინდება ბიულეტენების ფორმა. ბიულეტენები ერთმანეთისაგან არ უნდა განსხვავდებოდეს.

4.5. ბიულეტენის შევსებისას აკადემიური საბჭოს წევრი გადახაზავს მისთვის არასასურველი კანდიდატის გვარს და დატოვებს მხოლოდ იმ კანდიდატის გვარს, რომელსაც მხარს უჭერს. თუ ბიულეტენში მხოლოდ ერთი გვარია შეტანილი, მისთვის ხმის მიცემა გამოიხატება გვარის შემოხაზვით, ხოლო მიუცემლობა მისი გადახაზვით.

4.6. მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის დარღვევით შევსებული ბიულეტენი ბათილად ითვლება.

5. ოქმის წარმოება

5.1. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ ოქმი იწარმოება აკადემიური საბჭოს მდივნის მიერ. საჭიროების შემთხვევაში სხდომის მიმდინარეობა იწერება აუდიოფირზე. ჩანაწერი სამდივნოს მიერ ინახება ოქმის წერილობით გაფორმებამდე.

5.2. ოქმი მოიცავს:

- სხდომის თარიღს;
- სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
- დღის წესრიგს;
- სიტყვაში გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს;
- განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა მდივანს ოქმის დანართის სახით.

5.3. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება აკადემიური საბჭოს ბეჭედი.

6. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი:

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება აკადემიური საბჭოს მიერ რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

7. აკადემიური საბჭოს რეგლამენტის ძალაში შესვლა:

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.